



ქ.თბილისი

ბრძანება N 241

"23" დეკემბერი 2016.გ.

სსიპ - კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს 2016 წლის 9 ნოემბრის განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. აღწერილობითი ნაწილი

2016 წლის 9 ნოემბერს, სსიპ კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს საჩივარი (რეგ. №01/1068) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევის შესახებ. საჩივარში აღნიშნულია, რომ, სავარაუდოდ:

1. შპს „სტრადა მოტორსი“ და შპს „ჯი თი მოტორსი“ ერთმანეთთან არამართლზომიერ გარიგებაში იმყოფებიან და მიკროავტობუსების (ძირითად შემთხვევაში, სპეციალიზებული) შესყიდვის მიზნით სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში შეთანხმებულად მონაწილეობენ.
2. რიგი შემსყიდველი ორგანიზაციები, სატენდერო პირობების ფორმულირებით, შესაბამის ბაზარზე, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას ხელს უშლიდნენ.

წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე, კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სააგენტომ წარმოებაში მომჩივანი, შესაბამისი ეკონომიკური აგენტები და მოპასუხე შემსყიდველი ორგანიზაციები ჩართო: სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სამსახური, შპს „საქართველოს ფოსტა“, სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, სსიპ შემოსავლების სამსახური, შპს „სტრადა მოტორსი“ და შპს „ჯი თი მოტორსი“.

საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებებთან და ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებაში, აღნიშნულმა პირებმა, სააგენტოში წერილობითი პოზიცია წარმოადგინეს.

2. საქართველოს კანონმდებლობა

ა) მატერიალური მხარე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-2 მუხლის თანახმად, კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კანონის მე-16 მუხლის თანახმად, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო, მე-17 მუხლით კი დგინდება სააგენტოს საქმიანობის პრინციპები კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მისი გადაწყვეტილება საჯარო უნდა იყოს.

კანონის მე-7 მუხლით აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (შემდგომ – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, მათ შორის:

ვ) მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება, რაც არსებითად ლახავს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებს.

ხსენებული ნორმა ასევე გულისხმობს, რაიმე ნიშნით, შესაბამისი ბაზრების გადანაწილებას ან შეთანხმებას, გარკვეულ პროდუქტის სპეციალიზაციას.

კანონის 33-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს. კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს ასევე შეუძლია ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით

უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

საბოლოოდ, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევა დაიწყოს. *საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.*

ბ) პროცედურული მხარე

კანონის 22-ე მუხლის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელმაც საჩივართან ერთად სააგენტოს მტკიცებულებები უნდა წარუდგინოს. მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, *ქონებრივი ზიანი ადგება*, რაზედაც შესაბამისი საჩივრით სააგენტოს მიმართავს. *მომჩივანი მხარედ განიხილება და მტკიცების ტვირთი ეკისრება.*

კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტო საჩივრის მიღებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საჩივრის დასაშვებობის საკითხს სწავლობს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს, მომჩივანს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა მოსთხოვოს და წარდგენის ვადა განუსაზღვროს. ამავდროულად, საქმის მოკვლევის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *მხარეები (მომჩივანი და მოპასუხე/მოპასუხეები) ვალდებული არიან სააგენტოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდონ.*

საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლით დადგენილია საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, რომლის მიხედვითაც, სააგენტო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „განცხადების წარდგენის წესი“) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, *სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 დღით.* აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. კანონის 24-ე მუხლისა და საქმის მოკვლევის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, *სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, მათ შორის, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.*

უარის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით *თბილისის საქალაქო სასამართლოში.*

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ კანონის დარღვევის თაობაზე, სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე.*

3. ფაქტობრივი გარემოებები

ა) კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევა

მომჩივნის პოზიცია

შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს (შემდგომში - „მომჩივანი“) მიერ სსიპ - კონკურენციის სააგენტოში 2016 წლის 9 ნოემბერს წარდგენილი საჩივრის მიხედვით, შპს „სტრადა მოტორსი“ და შპს „ჯი თი მოტორსი“ საქართველოს საავტომობილო ბაზარზე შეთანხმებულად მოქმედებენ, ისე რომ სხვა ავტომწარმოებლის წარმომადგენლებს ამ ბაზრის ათვისება შეეზღუდოთ.

მომჩივნის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წლის მარტიდან 2016 წლის მარტის ჩათვლით გამოცხადებულ 12 ელექტრონულ ტენდერში, რომლებიც, ძირითადად, მიკროავტობუსების შესყიდვას ეხებოდა, შპს „სტრადა მოტორსი“ და შპს „ჯი თი მოტორსი“ ბაზარი

გადანაწილებული ჰქონდათ. კერძოდ, 12 ტენდერიდან 6-ში ერთადერთი მონაწილე (და შესაბამისად, გამარჯვებული) იყო შპს „ჯი თი მოტორსი“, ხოლო დანარჩენ 6-ში - შპს „სტრადა მოტორსი.“ მომჩივანმა იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ განსახილველი 12 ტენდერიდან არც ერთში ფასის კლება არ დაფიქსირებულა. ინფორმაციის წყაროა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“-ს ვებ-გვერდზე (www.spa.ge) განთავსებული ინფორმაცია მითითებულ პერიოდში გამოცხადებული ტენდერების შესახებ. აღნიშნულზე დაყრდნობით, მომჩივანი ამტკიცებს, რომ სახეზეა კანონის მე-7 მუხლის დარღვევა.

მომჩივნის მიერ პრობლემატურად მიჩნეული 12 ტენდერის შესახებ ინფორმაცია მოცემულია N1 ცხრილში.

ცხრილი N1. 12 ტენდერი, რომლებშიც, მომჩივნის აზრით, დაირღვა კანონის მე-7 მუხლი

N	ნომერი	გამოცხადების თარიღი	შემსყიდველი	ერთადერთი მონაწილე და ტენდერში გამარჯვებული
1	SPA160 005834	17.02.2016	შპს „საქართველოს ფოსტა“	შპს „სტრადა მოტორსი“
2	SPA160 004029	04.02.2016	შპს „საქართველოს ფოსტა“	შპს „სტრადა მოტორსი“
3	SPA160 004028	04.02.2016	შპს „საქართველოს ფოსტა“	შპს „ჯი თი მოტორსი“
4	SPA150 030237	12.11.2015	სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	შპს „სტრადა მოტორსი“
5	SPA150 029935	09.11.2015	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	შპს „ჯი თი მოტორსი“
6	SPA150 025839	23.09.2015	სსიპ შემოსავლების სამსახური	შპს „ჯი თი მოტორსი“
7	SPA150 023959	02.09.2015	სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	შპს „სტრადა მოტორსი“
8	SPA150 024348	07.09.2015	სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო'	შპს „ჯი თი მოტორსი“
9	SPA150 021992	07.08.2015	შპს „საქართველოს ფოსტა“	შპს „სტრადა მოტორსი“
10	SPA150 021331	31.07.2015	სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და	შპს „ჯი თი მოტორსი“

			საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	
11	SPA150 013234	05.05.2015	სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	შპს „ჯი თი მოტორსი“
12	SPA150 006944	04.03.2015	შპს „საქართველოს ფოსტა“	შპს „სტრადა მოტორსი“

როგორც აღნიშნული ტენდერების მონაცემებიდან ჩანს, 2015 წლის 4 მარტიდან 2016 წლის 17 თებერვლის ჩათვლით, გამოცხადებულ 12 ტენდერში, ექვსში ერთადერთი მონაწილე და გამარჯვებულია შპს „სტრადა მოტორსი“, ხოლო დანარჩენ ექვსში - შპს „ჯი თი მოტორსი“.

სააგენტოს შენიშვნა: ამავდროულად, მომჩივანის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან, რომელიც სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გადამოწმდა, ირკვევა, რომ განსახილველ პერიოდში, ადგილი ჰქონდა კიდევ სულ მცირე ორ ტენდერს: SPA150009602 (გამოცხადების თარიღი: 26.03.2015; შემსყიდველი: შპს „საქართველოს ფოსტა“) და SPA160013579 (გამოცხადების თარიღი: 05.05.2016; შემსყიდველი: სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი). ორივე ტენდერში მონაწილეობდა როგორც შპს „სტრადა მოტორსი“, ისე შპს „ჯი თი მოტორსი“.

მოპასუხეთა პოზიცია

1. საჩივრის საპასუხო წერილში (N01/1118, რეგისტრაციის თარიღი: 25.11.2016), მოპასუხე შპს „ჯი თი მოტორსი“ ტენდერში მონაწილეობის გადამწყვეტ ფაქტორებზე საუბრობს, როგორცაა გამოცხადებული შესყიდვის ბიუჯეტის პროდუქციის ღირებულებასთან თავსებადობა, მიწოდების ვადები, უცხოელი პარტნიორების სტოკში/ქარხანაში სათანადო მოდელისა და ოდენობის ავტოსატრანსპორტო საშუალებების არსებობა-არარსებობა, შესყიდვისას მოთხოვნილი სპეციფიკური დეტალები და ა.შ. კომპანია აღნიშნავს, რომ არის შესყიდვების თეთრი სიის წევრი და უთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვისას გაფორმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობა შესაბამის სანქციებს იწვევს (მათ შორის, შავ სიაში მოხვედრას). შესაბამისად, კომპანია აღნიშნავს, რომ შესყიდვებში მონაწილეობის გადაწყვეტილებას მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე იღებს.

ამავდროულად, შპს „ჯი თი მოტორსი“ იმ ტენდერების შესახებ უთითებს, რომლებშიც ის კონკურენციაში იყო შპს „სტრადა მოტორსთან“. მითითებულ ტენდერებს შორისაა ზემოთ მოცემული SPA150009602 და SPA160013579 ტენდერები, ასევე სხვა ტენდერები:

1. SPA140002568 – გამოცხადების თარიღი: 28.01.2014, შემსყიდველი: შპს მომსახურების სააგენტო;

2. SPA160024372 – გამოცხადების თარიღი: 06.09.2016, შემსყიდველი: შპს „ენგურჰესი“;
3. SPA160024899 – გამოცხადების თარიღი: 14.09.2016, შემსყიდველი: შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“;
4. SPA160025617 – გამოცხადების თარიღი: 27.09.2016, შემსყიდველი: შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“.

2. საჩივრის საპასუხო წერილში (N01/1126, რეგისტრაციის თარიღი: 30.11.2016), მოპასუხე შპს „სტრადა მოტორსი“, შპს „ჯი თი მოტორსი“-ს მსგავსად, ტენდერში მონაწილეობის შესახებ, გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მომხდენ ფაქტორებზე საუბრობს. ამავდროულად, კომპანია უთითებს კონკრეტულ მიზეზებს, თუ რატომ ვერ მონაწილეობდა მომჩივნის მიერ ხსენებულ SPA160004028, SPA150029935, SPA150025839, SPA150024348, SPA150021331 და SPA150013234 ტენდერებში. *მიზეზები უკავშირდება, როგორც შესყიდვებში მოთხოვნილი ტექნიკური პარამეტრების დაუკმაყოფილებლობას ისე კომპანიის მხრიდან, შესაბამის ვადაში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიწოდების შეუძლებლობას.*

გარემოებები, რომლებსაც კონკურენციის სააგენტომ დამატებით მიაქცია ყურადღება

სააგენტო შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მიერ 2015 წლის მარტიდან 2016 წლის მარტის ჩათვლით გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზებით დაინტერესდა. როგორც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებიდან დგინდება, *მომჩივანი კომპანია რეგისტრირებულია 2016 წლის 20 მაისიდან.* შესაბამისად, *მისი, როგორც მეწარმე სუბიექტის არარსებობის გამო, აღნიშნული თარიღამდე გამოცხადებულ ტენდერებში, მონაწილეობას ვერ მიიღებდა.*

ბ) კანონის მე-10 მუხლის საგარეულო დარღვევა

მომჩივნის პოზიცია

საჩივრის მოპასუხეთა გრაფაში, მომჩივანი ხუთ მოპასუხეს უთითებს, რომლებიც შესაძლოა კანონის მე-10 მუხლის დამღვევ სუბიექტებს წარმოადგენდნენ. აღნიშნული მოპასუხეები არიან:

1. შპს „საქართველოს ფოსტა“;
2. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
3. სსიპ შემოსავლების სამსახური;
4. სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო;
5. სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.

აღნიშნული ხუთი მოპასუხიდან ოთხთან მიმართებით, მომჩივანს მხოლოდ N1 ცხრილში ჩამოთვლილი ტენდერების მონაცემები აქვს მითითებული. რაც შეეხება მე-5 მოპასუხეს. სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, მომჩივანი 2016 წლის 6 ივლისს გამოცხადებულ ტენდერზე საუბრობს, რომელშიც, მისი აზრით, კონკურენციის კანონმდებლობა დაირღვა.

საჩივრითა და მომჩივნის მონაწილეობით 2016 წლის 21 ნოემბერს გამართული სხდომის (იხილეთ განმარტებითი ბარათი N03/1059) საპასუხოდ, სააგენტოში შემოსული საჩივრის დაზუსტების წერილით (N01/1131, 01.12.2016), მომჩივანი უთითებს შემდეგს:

1. 2016 წლის 6 ივლისს სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა *ტენდერი SPA160019418* გამოაცხადა. ტენდერი სასწრაფო დახმარების 6 ავტომანქანის შესყიდვას ემსახურებოდა. ტენდერში მონაწილეობა შპს „ჯი თი მოტორს“-მა და შპს „სიტროენ ჯორჯია“-მ მიიღო. გაცილებით დაბალი ფასის შეთავაზების გამო, შპს „სიტროენ ჯორჯია“-მ გაიმარჯვა. შპს „ჯი თი მოტორს“-მა ტენდერის შედეგები გაასაჩივრა და ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება მოითხოვა. ტენდერში შეთავაზებულ ავტომობილებთან მიმართებით შესაბამისი ქრამ ტესტის არსებობის თაობაზე, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ, შპს „ჯი თი მოტორს“-ს მიერ წარდგენილი საჩივრის ფარგლებში, შპს „სიტროენ ჯორჯია“-სგან დამატებითი მტკიცებულების წარდგენა მოითხოვა. კერძოდ, ავტომობილის საბაზისო მოდელს უნდა ჰქონოდა NCAP ევრო ან IIHS ამერიკული ქრამ ტესტი. საპასუხოდ, *მომჩივანმა წარადგინა „AUTOMOBILES CITROEN SA“ ევრაზიის რეგიონის იმპორტიორთა დირექტორის წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მოდელი Jumper FgTl 30 L2H2, YAZMF/BRN/BRNI – 2.2 Turbo Diesel HDi, 130 Hp განკუთვლილია მეზაერთა გადაყვანისათვის ან სასწრაფო დახმარების მანქანის სახით გამოსაყენებლად* (შენიშვნა: შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მიერ ტენდერისიწორედ ეს მოდელი იყო წარდგენილი). შესყიდვების საბჭომ სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს სატენდერო გადაწყვეტილების გადასინჯვა დაავალა და დეტალური მსჯელობა შესაბამისობასთან დაკავშირებით. საპასუხოდ, ცენტრმა SPA160019418 ტენდერი შეწყვიტა.

2. სასწრაფო დახმარების 6 ავტომანქანის შესაძენად, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა კვლავ *ტენდერი SPA160025207* გამოაცხადა. მომჩივნის მითითებით, სატენდერო დოკუმენტაცია ცენტრს ისე ჰქონდა ჩამოყალიბებული, რომ მან აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მიღება ვეღარ შეძლო. ამ ტენდერში მონაწილეობა მიიღო როგორც შპს „ჯი თი მოტორს“-მა, ისე შპს „სტრადა მოტორს“-მა, რომელმაც გაიმარჯვეს კიდევ. მომჩივანმა აღნიშნული გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში შემდეგი მიზეზებით: ა) *გამარჯვებულ მოდელს Fiat Scudo maxi van-ს არ აქვს ქრამ ტესტი*; ბ) სატენდერო დოკუმენტაცია *მორგებულია ერთ მოდელზე Ford Transit Custom*; გ) შპს „სტრადა მოტორს“-ს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ *დოკუმენტაცია არასრული და ხარვეზიანია*. საბოლოოდ, მომჩივნის მითითებით, საბჭომ მათი საჩივარი სრულად დააკმაყოფილა, ხოლო ცენტრმა ტენდერი კვლავ შეწყვიტა.

3. იმავე მანქანების შესაძენად, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა ტენდერი კვლავ გამოაცხადა, რომელიც, მომჩივნის მოსაზრებით, მორგებული იყო მხოლოდ ერთ

მოდელზე - Ford Transit Custom. მომჩივანი ამასთან დაკავშირებით უთითებს, რომ *სატენდერო დოკუმენტაციას კიდევ რამდენიმე ავტომობილი აკმაყოფილებს, მათ შორის, Fiat Scudo maxi van და Ford Transit, თუმცა, ამ უკანასკნელებს ქრამ ტესტი არ გააჩნიათ. ამავდროულად, ქრამ ტესტი აქვს Fiat Scudo combi-ს, თუმცა, ის სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებს ვერ აკმაყოფილებს.*

4. მომჩივანი აღნიშნავს, რომ *Fiat Scudo maxi van-სა და Fiat Scudo combi-ს შორის იგივე განსხვავებაა, რაც Citroen jumper-სა და Citroen jumpy-ს შორის* (შენიშვნა: კომპანია ტენდერში შესვლას ცდილობს Citroen jumper-ით, ხოლო შესაბამისი ქრამ ტესტი გააჩნია Citroen jumpy-ს). კერძოდ, ორივე ერთი სუბ-ბრენდია - ქრამ ტესტი საბაზისო მოდელს აქვს. სწორედ ამიტომ, მომჩივანი ყურადღებას იმ ტენდერის შეწყვეტაზე ამახვილებს, სადაც თავად მონაწილეობდა - იქაც, სხვა ტენდერების მსგავსად, მოთხოვნილი იყო ქრამ ტესტი საბაზისო მოდელისათვის.

5. მომჩივანი ასევე მიუთითებს, რომ *“სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მიხედვით, NCAP (ევროპული ქრამ ტესტის), IIHS (ამერიკული ქრამ ტესტის) ან JNCAP (იაპონური ქრამ ტესტის) მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი სასწრაფო დახმარების ავტომანქანებისათვის სავალდებულო არაა* (სპეციალიზებული კლასის ავტომობილები).

6. საბოლოოდ, მომჩივანი აღნიშნავს, რომ მის მიერ *ტენდერში შეთავაზებული სასწრაფო დახმარების ავტომობილები ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გამოიყენება, მათ შორის, საფრანგეთში, ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში.*

მოპასუხეთა პოზიცია

1. საჩივრის საპასუხო წერილში, შპს „საქართველოს ფოსტა“ (N01/1109, 22.11.2016) უთითებს, რომ ის მომჩივნის მიმართ კონკურენციის კანონს ვერ დაარღვევდა, რადგან *საჩივარში მითითებული ყველა ტენდერი, რომელიც შპს „საქართველოს ფოსტა“-ს აქვს გამოცხადებული, მომჩივნის მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირებამდეა ჩატარებული.*

2. სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საჩივრის პასუხად (N01/1123, 29.11.2016) უთითებს, რომ კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველსაყოფად, ყველა ტენდერის გამოცხადებამდე, მინიმუმ ერთი თვით ადრე, მათგან შესაბამისი შეთავაზებების მისაღებად, ის საქართველოში მოქმედი ბრენდების დილერებს ატყობინებდა. ამავდროულად, წერილში აღნიშნულია, რომ *ტენდერების გამოცხადების პერიოდში, ცენტრს შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, რადგან ეს უკანასკნელი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ იყო.*

3. სსიპ შემოსავლების სამსახური საჩივრის პასუხად (N01/1238, 20.12.2016) აღნიშნავს, რომ *მის მიერ ტენდერში მოთხოვნილი სპეციფიკაციის მიკროავტობუსების არაერთი მარკა არსებობს, მათ შორის, MERCEDES-BENZ SPRINTER, FIAT DUCATO, FORD TRANSIT და WOLKSWAGEN CRAFTER.*

4. სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო საჩივრის პასუხად (N01/1107, 22.11.2016) აღნიშნავს, რომ საჩივარში მითითებული არც ერთი გარემოება მათი მხრიდან კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას არ ადასტურებს.

5. რაც შეეხება სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს - საჩივრის საპასუხო წერილში (N01/1135, 02.12.2016) აღნიშნულია შემდეგი გარემოებები:

5.1. *ტენდერი SPA160019418* (გამოცხადების თარიღი: 06.07.2016) - ტენდერში მონაწილეობდა შპს „ჯი თი მოტორსი“ და შპს „სიტროენ ჯორჯია“. ცენტრმა გამარჯვებულად ეს უკანასკნელი გამოავლინა, როგორც ყველაზე დაბალი ფასის შემომთავაზებელი და 2016 წლის 16 აგვისტოს N4 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, ხელშეკრულების გასაფორმებლად მოიწვია. ამავე დღეს, შპს „ჯი თი მოტორსი“-მა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში სატენდერო გადაწყვეტილება გაასაჩივრა და კონკურენტისთვის დისკვალიფიკაციის მინიჭება მოითხოვა. საბჭოს 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით, ცენტრს შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის თავიდან შეფასება დაევალა. ცენტრის სატენდერო კომისია, 2016 წლის 5 სექტემბრის N5 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, შეეცადა მწარმოებლისგან ინფორმაცია ტენდერში წარმოდგენილი ავტომანქანა “CITROEN JUMPER“-ისა და NCAP ქრამ ტესტის მქონე ავტომანქანა “CITROEN JUMPY“-ს ურთიერთკავშირის შესახებ თავად მოეპოვებინა. ცენტრი აღნიშნავს, რომ 2016 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, მწარმოებელს ინფორმაცია ჯერ კიდევ არ მოუწოდებია, ვრცელდება თუ არა “CITROEN JUMPY“-ს ქრამ ტესტი “CITROEN JUMPER“-ზე. სწორედ ამიტომ, ცენტრმა სადავო ტენდერი შეწყვიტა.

5.2. *ტენდერი SPA160025207* (გამოცხადების თარიღი: 19.09.2016) - ცენტრმა ტენდერი განმეორებით გამოაცხადა. მონაწილეობა შპს „ჯი თი მოტორსი“-მა და შპს „სტრადა მოტორსი“-მა მიიღო. შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მონაწილეობა არ მიუღია, რომელმაც დავების განხილვის საბჭოში ცენტრის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ეს ტენდერიც შეწყდა.

5.3. *ტენდერი SPA160028350* (გამოცხადების თარიღი: 15.11.2016) - ცენტრმა ტენდერი განმეორებით გამოაცხადა. შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მონაწილეობა კვლავ არ მიუღია და დავების განხილვის საბჭოში საჩივარი წარადგინა.

5.4. *ცენტრი აღნიშნავს, რომ შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს ზემოთხსენებულ ელექტრონულ ტენდერში SPA160028350 მონაწილეობის მიღება შეუძლია.*

გარემოებები, რომლებსაც კონკურენციის სააგენტომ დამატებით მიაქცია ყურადღება

სააგენტომ, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ გარდა სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ ჩატარებული ტენდერებისა, ყველა სხვა მოპასუხედ დასახელებული ორგანიზაციის ტენდერი ჩატარებულია მომჩივნის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტამდე.

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ტენდერებთან მიმართებით, სააგენტომ შეისწავლა არა მარტო მომჩივნისა და მოპასუხეების, არამედ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოცხადებული ტენდერების ინფორმაცია. სააგენტომ ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებებს:

1. 2016 წლის ივნისიდან დღემდე, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს, 6 სასწრაფო დახმარების მანქანის შესაძენად, გამოცხადებული ჰქონდა 4 ტენდერი.

2. გარდა მომჩივნისა და მოპასუხე სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ განხილული სამი ტენდერისა (*SPA160019418*, *SPA160025207*, *SPA160028350*), ცენტრს 2016 წლის 7 ივნისს გამოცხადებული ჰქონდა *SPA160016505* ტენდერი, რომელიც შეწყდა შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მიერ შესყიდვების ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირებული შეკითხვების გამო. კონკრეტულად: 7 ივნისის ტენდერში მოითხოვებოდა 2016 წელს გამოშვებული სასწრაფო დახმარების მანქანები, ხოლო მიმწოდებელს მოეთხოვებოდა არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება. შპს „სიტროენ ჯორჯია“ გამოეხმაურა აღნიშნულ მოთხოვნებს - გამოშვების წელთან დაკავშირებით, მომჩივანმა იკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა ექსპლუატაციაში არმყოფი ისეთი ავტომობილების შეთავაზება, რომელიც გამოშვებული იყო 2016 წელზე ადრე, ხოლო გამოცდილების მოთხოვნასთან დაკავშირებით აღნიშნა: „გაუგებარია რატომ ზღუდავთ კომპანიას რომელსაც არ გააჩნია „საქართველოში ბაზარზე საქმიანობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება“, მაშინ როცა გთავაზობთ მსოფლიოში ცნობილი და მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ბრენდის ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელსაც გააჩნია ევრო ქრამ ტესტის დამადასტურებელი სერტიფიკატი და აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციის ყველა სხვა მოთხოვნას.“ ამ ორი შენიშვნის განხილვის შედეგად, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სატენდერო კომისიამ შეწყვიტა ტენდერი 2016 წლის 17 ივნისის N2 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ცენტრის მიერ 2016 წლის 6 ივლისს გამოცხადებული *SPA160019418* ტენდერის მასალებიდან ირკვევა, რომ 2016 წლის 8 აგვისტოს N3 სხდომაზე გადაწყდა შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს გამარჯვებულად გამოცხადება. ქრამ ტესტთან მიმართებით, კომპანიამ წარმოადგინა წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ Citroen Jumpy-ს აქვს ევრო ქრამ ტესტი და 2012 წლიდან ევრაზიის ბაზრისთვის იწარმოება Citroen Jumper-ის სახელით. ამავე სატენდერო კომისიის 2016 წლის 5 სექტემბრის N5 სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ დაევალიათ შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასების განხორციელება საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე. შემოწმებას ექვემდებარებოდა ურთიერთკავშირის საკითხი Citroen Jumpy-სა და Citroen Jumper-ს შორის, იმის დადგენისთვის, ვრცელდებოდა თუ არა პირველის ქრამ ტესტი მეორეზე. სატენდერო კომისიის 16 სექტემბრის N6 სხდომის ოქმიდან აშკარაა, რომ მწარმოებელთან (სიტროენი) დაკავშირების მიუხედავად, მათ არ მიეწოდათ ინფორმაცია აღნიშნული ურთიერთკავშირის შესახებ. შესაბამისად, კომისიამ შეწყვიტა ტენდერი.

4. 2016 წლის 19 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში *SPA160025207*, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი პირდაპირ უთითებს, რომ თუ შემოთავაზებული

მოდელისთვის წარმოდგენილი არ იქნებოდა შესაბამისი უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი, მოხდებოდა მისი ტენდერიდან დისკვალიფიკაცია ყოველგვარი განხილვის გარეშე. ამავე საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოში შპს „სტრადა მოტორსი“-ს (შენიშვნა: ამ ტენდერში გამარჯვებული კომპანია) მიერ გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდა არა ქრამ ტესტის არარსებობა, არამედ სისტემაში ატვირთული საპასპორტო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტის - თარგმანის - არაოფიციალურობა და ქრამ ტესტის სერთიფიკატის ინგლისურად არსებული ვერსიის დაზუსტება.

5. 2016 წლის 15 ნოემბრის SPA160028350 ტენდერთან მიმართებით, სატენდერო დოკუმენტაციაში დაზუსტებულია, რომ ქრამ ტესტი მოითხოვება ავტომანქანის საბაზისო მოდელისათვის და მტკიცებულებად საკმარისია შესაბამის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაცია. ამავდროულად, თუ კონკრეტულად შემოთავაზებულ მოდელს არ აქვს ქრამ ტესტი, საჭიროა მწარმოებლის წერილი, სადაც დადასტურდება, რომ ქრამ ტესტის მქონე და წარმოდგენილი ავტომობილები არის ერთი და იგივე საბაზისო მოდელი. ამავდროულად, შესყიდვების კომისიის 2016 წლის 14 დეკემბრის N2 სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ სატენდერო დოკუმენტაციას აკმაყოფილებს მინიმუმ ორი მოდელი: Ford Transit Custom და Fiat Scudo maxi van. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ქრამ ტესტის ვალიდურობა დასტურდება ფიატის წარმომადგენლობის შესაბამისი წერილით (შენიშვნა: აღნიშნული წერილი შპს „სტრადა მოტორსი“-ს წარმოდგენილი აქვს სააგენტოშიც). სატენდერო კომისია ასევე უთითებს, რომ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის მიერ შესაძენი სასწრაფო დახმარების მანქანებისათვის აუცილებელია ქრამ ტესტის ქონა, ხოლო კონკურენტულობის უზრუნველსაყოფად მან არ დაადგინა ქრამ ტესტის დონე - ამით შესაძლებლობა მისცა ყველა მწარმოებელს, რომელსაც მინიმალური უსაფრთხოების სტანდარტი მაინც აქვს დაცული, მონაწილეობა მიეღო ტენდერში.

6. საბოლოოდ, შპს „სტრადა მოტორსი“ განმარტავს განსხვავებას, ერთი მხრივ, Fiat Scudo Combi-სა და Fiat Scudo maxi van-ს, ხოლო მეორე მხრივ, Citroen Jumper-სა და Citroen Jumpy-ს შორის. პირველ შემთხვევაში, ფიატის ეს ორი ავტომობილი წარმოადგენს ერთი მოდელის - Scudo-ს კონკრეტულ ვერსიებს. სიტროენის შემთხვევაში, მანქანები განსხვავდება პლატფორმით, საბაზისო მონაცემებით, ტვირთამწეობით, კონსტრუქციით და სხვა პარამეტრებით. შპს „სტრადა მოტორსი“ აღნიშნავს, რომ სიტროენის შემთხვევაში გვაქვს Citroen Jumpy, რომელიც არის medium-sized van-ის ტიპის ავტომობილი და Citroen Jumper, რომელიც არის full-sized van ტიპის ავტომობილი. კომპანიას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ფოტომასალაც. დამატებითი ფოტომასალა ასევე მოიპოვება SPA160028350 ტენდერის ელექტრონულ მასალებში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე.

4. სამოტივაციო ნაწილი

ა) ზოგადი მოცემულობა

სააგენტო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ რადგან შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს შემთხვევაში, სახეზეა საჩივარი, დასაშვებობის ეტაპის გადასალახად უნდა კმაყოფილდებოდეს მინიმუმ ორი პირობა მაინც:

1. სახეზე უნდა იყოს სათანადო მომჩივანი შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს უშუალო ზიანი უნდა ჰქონდეს მიმდგარი მოპასუხეთა იმ ქმედებებით, რომლებსაც ის სადავოდ ხდის;
2. უნდა კმაყოფილდებოდეს გონივრული ექვსის სტანდარტი, რომ მომჩივნის მიერ მითითებულ დარღვევას მართლაც აქვს/ჰქონდა ადგილი.

საჩივარში აღწერილი გარემოებები გაანალიზებულია სწორედ ამ ორი პირობის ჭრილში.

ბ) კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევა

მომჩივანი უთითებს, რომ შპს „სტრადა მოტორსი“-სა და შპს „ჯი თი მოტორსი“-ს მიერ, 2015 წლის მარტიდან 2016 წლის მარტამდე გამოცხადებულ ტენდერებში, ხდებოდა ერთმანეთთან შეთანხმებულად მოქმედება. ამავდროულად, ფაქტობრივი გარემოებების ანალიზიდან იკვეთება, რომ თავად მომჩივანი კომპანია, შპს „სიტროენ ჯორჯია“, დაარსებულია 2016 წლის 20 მაისს. შესაბამისად, მითითებულ ტენდერებში განხორციელებული ქმედებების შედეგად მომჩივანს ვერ მიაღებოდა ზიანი

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მის დაარსებამდე ჩატარებულ ტენდერებთან მიმართებით, შპს „სიტროენ ჯორჯია“ ვერ იქნება სათანადო მომჩივანი, რადგან ის არ არის უფლებამოსილი შემოიტანოს სააგენტოში საჩივარი იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რასაც მისთვის უშუალოდ ზიანი არ მიუყენებია.

სააგენტო განმარტავს, რომ ასეთი შემთხვევებისთვის, ზიანად განიხილება, მაგალითად, ტენდერში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობა ბარიერის არსებობის გამო, ბაზრის სხვა მონაწილეთა მხრიდან კონკურენტების შეზღუდვა ტენდერში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზნით და სხვ. *თუმცა, ვერც ერთი მსგავსი მოქმედება ვერ განხორციელდება ჯერ კიდევ დაუარსებელ კომპანიასთან მიმართებით.* შესაბამისად, ტენდერებში მონაწილეობის კუთხით, უშუალო ზიანი შესაძლოა მიაღგეს მხოლოდ იმ კომპანიას, რომელიც უკვე არსებობს ტენდერის გამოცხადების მომენტისათვის და ვერ ახერხებს მასში მონაწილეობას გარკვეული ბარიერების არსებობის გამო. მომჩივნის შემთხვევაში კი 2016 წლის 20 მაისამდე გამოცხადებული ტენდერები მისთვის ზიანის მომტანი ვერ იქნება, რადგან ამ პერიოდამდე ის, როგორც კონკურენტი, არ არსებობდა.

სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ვერ იმოქმედებს ვერც პოტენციური ეკონომიკური აგენტის ცნებასთან დაკავშირებული ინსტიტუტები, ვინაიდან, კონკრეტული ტენდერისათვის, როგორც დამოუკიდებელი შესაბამისი ბაზრისათვის, ჯერ კიდევ

დაუფუძნებელი კომპანია ვერ იქნებოდა მიჩნეული პოტენციურ კონკურენტად/ეკონომიკურ აგენტად. სააგენტო განმარტავს, რომ პოტენციურია ეკონომიკური აგენტი, რომელსაც შეუძლია საბაზრო რეალობის ცვლილებიდან გამომდინარე, მოკლე ვადაში განახორციელოს ახალ საბაზრო რეალობასთან ადაპტირება და შესაბამის ბაზარზე შესვლა. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ, ტენდერის გამოცხადებიდან წინადადების მიღების დასრულებამდე არსებულ მოკლე პერიოდში, ფიზიკურად შეუძლებელია კომპანიის დაფუძნება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სრულად უზრუნველყოფა, შესაბამისი საერთაშორისო ბიზნეს-შეთანხმებების გაფორმება, იმპორტთან დაკავშირებული საკითხების სრულად მოგვარება და იმპორტის განხორციელება, რადგან ეს საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. შესაბამისად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ტენდერის გამოცხადების მომენტიდან დასრულების ვადაში დაუარსებელი კომპანია პოტენციურ კონკურენტად ვერ იქნება მიჩნეული.

სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი საჩივარი, „კონკურენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის ნაწილში, დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი არასათანადო მომჩივნის არსებობის გამო.

გ) კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

შპს „საქართველოს ფოსტა“, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სსიპ შემოსავლების სამსახური და სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, როგორც სავარაუდო სამართალდამრღვევები:

აღნიშნულ მოპასუხეებთან მიმართებით, შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს საჩივრის დასაშვებობა იმავე პრობლემის წინაშე დგას, რაც ზემოთ, „ბ“ პუნქტში, აღვწერეთ. მოპასუხეთა მიერ გამოცხადებული ტენდერები წინ უსწრებდა მომჩივანი კომპანიის დაარსებას, რის გამოც უშუალოდ მისთვის მიყენებული ზიანი არ იკვეთება. შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მოპასუხეთა ნაწილში, შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს საჩივარი კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევის შესახებ დაუშვებელია ამ კონკრეტული კომპანიის სახით სათანადო მომჩივნის არარსებობის გამო.

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, როგორც სავარაუდო დამრღვევი:

სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების ნაწილში სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრთან მიმართებითაც, იმის მიუხედავად, რომ აქ *სახეზე გვყავს სათანადო მოსარჩელე და მოპასუხე.*

სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გამოცხადებული ტენდერებისას, შპს „სიტროენ ჯორჯია“ უკვე დარეგისტრირებულია, როგორც მეწარმე სუბიექტი და მიღებული

აქვს კიდევ მონაწილეობა ცენტრის მიერ გამოცხადებულ SPA160019418 ტენდერში. თუმცა, სააგენტოს მიაჩნია, რომ მომჩივანი სათანადოდ ვერ ასაბუთებს სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტს და შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტები ვერ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განმარტებული გონივრული ეჭვის სტანდარტი. სსიპ კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. კერძოდ, თუ რამდენად შეიცავს საჩივარი კონკურენციის კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის მტკიცებულებებს და რომელი ზიანის თეორია იკვეთება. გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საქმისათვის გამოსადეგი იყოს, და გადაწყვეტილება დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ გამოდის სააგენტოში მოგროვილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ინფორმაციის ერთობლიობის საფუძველზე, სააგენტო დაადგენს, არსებობს თუ არა გონივრული ეჭვი, რომელიც გაამართლებდა მოკვლევის დაწყებას.

სააგენტო ასევე აღნიშნავს, რომ *მომჩივანი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს. მან საჩივართან ერთად სააგენტოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები დარღვევის შესახებ.* სააგენტო ამ მტკიცებულებებისა და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოგროვებული ინფორმაციის ერთობლიობით წყვეტს საჩივრის დასაშვებად ცნობის, ე.ი. მოკვლევის დაწყების საკითხს. დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, სააგენტო ეყრდნობა გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

ვინაიდან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არ არის განმარტებული გონივრული ეჭვი, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღებას აქცევს ევროკომისიის პრაქტიკასა და ანალოგიური ტერმინის ევროპულ განმარტებას. ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივნის ფორმალურ სტატუსს. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება

შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ევროკომისიას აქვს მოკვლევის დაწყების შესახებ დისკრეცია.

ევროკავშირში, ფორმალურად დასაშვებ საჩივარს (რომელიც შევსებულია კომისიის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით) შესაძლოა ეთქვას უარი დაუსაბუთებლობის გამო, როდესაც ის არ/ვერ წარმოადგენს მინიმალურ წინასწარ (*prima facie*) მტკიცებულებასაც კი, რაც დაადასტურებდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე ან 102-ე მუხლების (შენიშვნა: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების ანალოგები) დარღვევის ერთ ან რამდენიმე წინაპირობას¹.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ² განმარტავს, რომ “კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ ფაზის დროს, კომისია ამოწმებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ მოკვლევას [...]”. ასევე, „პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე შეწყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ისინი არ იმსახურებენ შემდგომ შესწავლას.“

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე და 82-ე მუხლების შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ³ განმარტავს, რომ „საჩივრის მიღების პირველ ეტაპზე, კომისია შეისწავლის საჩივარს და აგროვებს დამატებით ინფორმაციას, იმის გადასაწყვეტად, თუ რას მოიმოქმედებს შემდგომ. ამ დროს ხდება ინფორმაციის არაფორმალური გაცვლა კომისიასა და საჩივრის ავტორს შორის, სადაც უფრო დეტალურად დგინდება საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და იურიდიული საკითხები. ამ დროს, კომისიას შეუძლია, უკვე გამოხატოს პირველადი პოზიცია საჩივრის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს საჩივრის ავტორს, განავრცოს ან/და დააზუსტოს იგი.“

ზემოხსენებული ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმა C-ის⁴ მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით მისი უარყოფა შეუძლია.“

¹ Antitrust Manual of Procedures, Internal DG Competition working documents on procedures for the application of Articles 101 and 102 TFEU, March 2012; თავი 21-ე, წარმოება საჩივართან დაკავშირებით, ნაწილი 3.1.2; (იხ. http://ec.europa.eu/competition/antitrust/information_en.html).

² Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), პარა. 11-12.

³ Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, (ამჟამინდელი 101 და 102 მუხლები; იხ. [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52004XC0427\(04\)](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A52004XC0427(04))), პარა. 47, 53 და 55.

⁴ ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

და ბოლოს, კონკრეტული საჩივრის უარყოფა არ ნიშნავს იმის დადგენას, რომ საჩივარში დასმული საკითხები (მატერიალური კუთხით) არ არღვევს 101/102 მუხლებს. ეს უზრალოდ ნიშნავს, რომ კომისიამ ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივარი დაუსაბუთებლად ჩათვალა, რაც არ გამოორიგხავს მოგვიანებით კომისიის, ეროვნული კონკურენციის ორგანოს ან სასამართლოს მიერ იმავე საფუძვლით დარღვევის დადგენას.⁵

რაც შეეხება უშუალოდ, წარმოდგენილ საჩივარს, სააგენტო, მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ნაწილში საჩივრის დასაშვებობის საკითხთან მიმართებით, მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ:

1. სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გამოცხადებული ტენდერები SPA160016505, SPA160019418, SPA160025207 და SPA160028350 განხილული უნდა იქნეს ერთიან კონტექსტში, ვინაიდან ყველა მათგანი გამოცხადებული იყო ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე;
2. გაანალიზებული უნდა იქნეს, რომელიმე ტენდერი ხომ არ იყო მორგებული ერთ კონკრეტული ავტომანქანის მოდელზე;
3. საჭირო იყო თუ არა ქრაშ ტესტის მოთხოვნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანებისათვის და თავად ამ მოთხოვნის დაწესება ხომ არ ზღუდავდა კონკურენციას.

სააგენტომ ზემოთ მოცემული საკითხები განიხილა კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებთან მიმართებით, ანუ შეამოწმა ჰქონდა თუ არა, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან, ერთი მხრივ მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას ადგილი და მეორე მხრივ, ხომ არ დაუწესდა სხვა პირს რაიმე შეღავათი.

პირველ რიგში, სააგენტომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2016 წლის ივნისიდან დღემდე, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ატარებს უკვე მე-4 ტენდერს აღნიშნული სასწრაფოს მანქანების შესაძენად. პირველი სამი ტენდერი შეწყვეტილია. აქედან, შპს „სიტროენ ჯორჯია“-მ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ მე-2, SPA160019418 ტენდერში, რომელიც გამოცხადდა 2016 წლის 6 ივლისს. აღნიშნულს წინ უძღოდა ამავე წლის 7 ივნისს გამოცხადებული SPA160016505 ტენდერის შეწყვეტა. სატენდერო კომისიის იმ სხდომის ოქმში, რომელზეც ტენდერის შეწყვეტის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შეწყვეტის მიზეზად დაფიქსირებულია შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ორი შეკითხვა. პირველი შეკითხვა ეხებოდა შესაძენი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოშვების წელს (მოთხოვნილი იყო მხოლოდ 2016 წელს გამოშვებული ტრანსპორტი), მეორე შეკითხვა კი მიმწოდებლის გამოცდილებას, რომელიც არანაკლებ ერთი წელი უნდა ყოფილიყო. შპს „სიტროენ ჯორჯია“ აღნიშნულ პირობას დისკრიმინაციულად მიიჩნევდა. კომპანია აღნიშნავდა, რომ მიმწოდებლის გამოცდილებას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, თუ ეს უკანასკნელი სთავაზობდა სსიპ სასწრაფო სამედიცინო

⁵ ob. Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, პარა. 72.

დახმარების ცენტრს მსოფლიოში ცნობილი და გამოცდილი ბრენდის - სიტროენის - მიერ წარმოებულ ტრანსპორტს, შესაბამისი ქრამ ტესტით. შემსყიდველი დაეთანხმა სიტროენს, შეწყვიტა ტენდერი, შეცვალა პირობები და მისცა მას ახალ - SPA160019418 - ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა (იხილეთ ტენდერი SPA160016505, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N2).

აღნიშნული ტენდერიდან შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს დისკვალიფიკაციასთან მიმართებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ მიუხედავად შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მტკიცებისა, ჯერ კიდევ არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მის მიერ ტენდერში შეთავაზებულ ავტოსატრანსპორტო საშუალება Citroen Jumper წარმოადგენს ქრამ ტესტის მქონე Citroen Jumpy-ს გაუმჯობესებულ ვერსიას. ამავდროულად, არსებობს შპს „სტრადა მოტორსი“-ს მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალა, რომლის საფუძველზეც მოპასუხე მხარე საპირისპიროს ამტკიცებს. აქ სააგენტო უთითებს, რომ იგი არ წარმოადგენს კომპეტენტურ ორგანოს იმ საკითხის შეფასებისას, შეიძლება თუ არა კონკრეტული დოკუმენტი (მწარმოებლის წერილი) ჩაითვალოს ქრამ ტესტად, ან მისი ძალის მქონედ. უბრალოდ დასაფიქსირებელია ის ფაქტი, რომ სააგენტოს ხელთარსებულ დოკუმენტაციაში მითითებულია მხოლოდ Citroen Jumper-ის ტიპის ავტომობილების დანიშნულება, მაგრამ კონკრეტულად ქრამ ტესტზე არაფერია ნათქვამი. ანალოგიურად, ინფორმაციის მოპოვება ვერ შეძლო სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა, რაც ჩანს SPA160019418 ტენდერთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში.

სააგენტომ ასევე შეამოწმა, იყო თუ არა მორგებული კონკრეტული ტენდერის პირობები მხოლოდ ერთ კომპანიას ან სატრანსპორტო საშუალებას. ამ ნაწილში, მომჩივანი SPA160028350 ტენდერთან მიმართებით ამტკიცებს, რომ დოკუმენტაცია მორგებულია ერთი კონკრეტული მოდელის მანქანაზე - Ford Transit Custom. თუმცა, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შესაბამისი სატენდერო კომისიის 2016 წლის 14 დეკემბრის N2 სხდომის ოქმიდან და მასზე თანდართული დოკუმენტებიდან, ასევე სააგენტოში შპს „სტრადა მოტორსი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სატენდერო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს მინიმუმ ორი მოდელი - Ford Transit Custom და Fiat scudo maxi van.

საბოლოოდ, SPA160028350 ტენდერთან დაკავშირებულ 2016 წლის 14 დეკემბრის N2 სხდომის ოქმში, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სატენდერო კომისიას ახსნილი აქვს, რომ ქრამ ტესტის მოთხოვნა განპირობებულია შესაძენი ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულების სპეციფიკით. კერძოდ, „შემსყიდველის მიზანია გადაუდებელი და ექსტრემალური პირობებისათვის გამიზნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სამედიცინო პერსონალის და მისი პაციენტების უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა“ (იხილეთ სხდომის ოქმი N2, გვ. 3). ამავდროულად, კომისია იქვე განმარტავს, რომ ტენდერში კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის მიზნებისათვის, მოთხოვნილი არ ყოფილა ქრამ ტესტის გარკვეული დონე - იგულისხმებოდა, რომ ქრამ ტესტისთვის მომზადების პროცესში ყველა მწარმოებელი იცავს უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს და შემსყიდველისთვის საკმარისი იყო სწორედ ამ მინიმალური მოთხოვნების დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ

იკვეთება, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან აღგილი ჰქონდა რომელიმე კომპანიისთვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას.

ქრამ ტესტთან მიმართებით, სააგენტო ასევე ხაზს უსვამს რამდენიმე გარემოებას:

1. მომჩივანი საჩივარში ზოგადად უთითებს ქრამ ტესტის არასავალდებულოობაზე სასწრაფო დახმარების მანქანებისათვის საქართველოში, თუმცა, ეს არ გამოირიცხავს შემსყიდველთა უფლებას, დააწესონ ქრამ ტესტის მოთხოვნა, თუ კონკრეტული შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ ეს მიზანშეწონილად მიაჩნიათ. სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ წინა აბზაცში მოყვანილი არგუმენტაცია კი ნათელს ხდის, თუ რატომაა საჭირო ამ კონკრეტულ ტენდერებში ქრამ ტესტის მოთხოვნის დაწესება.
2. მართალია ქრამ ტესტის სატენდერო პირობად დაწესებასთან დაკავშირებით მომჩივანი აყენებს არა მოთხოვნას, არამედ პოზიციას, მაგრამ სააგენტომ მაინც იმსჯელა ქრამ-ტესტის მოთხოვნის აუცილებლობაზე სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში. სააგენტო ადასტურებს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“-ს დანართის „ე“ პუნქტისა და მე-8 ცხრილის შესაბამისად, სპეციალიზირებული კლასის ავტომობილების შესყიდვისას, მინიმალურ მოთხოვნას არ წარმოადგენს ქრამ ტესტი. თუმცა, სააგენტო მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს მინიმალურ სტანდარტს და შემსყიდველ ორგანიზაციას გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, მოითხოვოს ქრამ ტესტის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავდროულად, ერთი მხრივ, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაგების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების საპასუხოდ ჩატარებული შეხვედრისას (იხილეთ ტენდერი SPA160016505, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N2) ხსნის ბაზარზე შესვლის ამ დამატებითი ბარიერის აუცილებლობის საკითხს, ხოლო მეორე მხრივ მომჩივანი ამტკიცებს, რომ მის ავტოსატრანსპორტო საშუალებებს გააჩნიათ უსაფრთხოების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ქრამ ტესტის მოთხოვნის აუცილებლობის საკითხს მომჩივანი დააყენებდა როგორც საჩივრის ერთ-ერთ მოთხოვნას (ანუ მიუთითებდა ქრამ ტესტს, როგორც ბარიერს), იგი მაინც ვერ შექმნიდა გონივრულ ეჭვს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევასთან მიმართებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სააგენტო თვლის, რომ მომჩივანი სათანადოდ ვერ ასაბუთებს სატენდერო პირობების არაკონკურენტულობას. ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ ბაზაში არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც აშკარად ადასტურებენ, ერთი მხრივ, სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ ტენდერში კონკურენტული გარემოს შექმნის მცდელობას, ხოლო მეორე მხრივ, შესასყიდი სასწრაფო

დახმარების მანქანებისთვის ქრამ ტესტის ქონის აუცილებლობას. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის გონივრული ეჭვი არ იკვეთება და ამ ნაწილში საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

რაც შეეხება მეორე ნორმას - კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს, სააგენტომ მასთან მიმართებით განიხილა სავარაუდო არათანასწორი მიდგომა სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხრიდან, SPA160025207 ტენდერის შემთხვევაში, როცა შპს „სტრადა მოტორს“-მა არ დააკმაყოფილა სატენდერო მოთხოვნები და არ წარმოუდგენია მოთხოვნილი დოკუმენტაცია, თუმცა მიენიჭა გამარჯვება ტენდერში.

სააგენტო მიუთითებს, რომ ამ საკითხზე უკვე არსებობს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც აღნიშნული ტენდერი შეწყვეტილ იქნა. შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო არ წარმოადგენს კომპეტენტურ ორგანოს ამ საკითხის გადასაწყვეტად, რის გამოც საჩივარი ამ ნაწილში დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს მატერიალური დასაშვებობის კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს (კერძოდ, გონივრული ეჭვის სტანდარტს) და მის საფუძველზე, ამ ეტაპზე და ამ საჩივრის ფარგლებში, მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

ამასთანავე, სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჩივრის დასაშვებობაზე უარის თქმა არ ნიშნავს, რომ სააგენტო მხედველობაში არ იღებს მასში მითითებულ ფაქტებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობა არ უთანაბრდება მასში მოყვანილი შესაძლო სამართალდარღვევის არარსებობის შესახებ დასკვნას. სააგენტო, ნებისმიერ დროს, გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, როგორც ახალი განცხადების/საჩივრის, ასევე საკუთარი ინიციატივით, უფლებამოსილია დაიწყოს მოკვლევა შესაბამის ბაზარზე.

სარეზოლუციო ნაწილი


„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით

დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს 2016 წლის 9 ნოემბრის საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

თავმჯდომარე



ნოდარ ხადური